პრაქტიკული მითითება №6

გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, სახელმძღვანელო

საზღვრის მართვა და გენდერი

შინაარსი

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერი საზღვრის მართვისთვის?

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება საზღვრის მართვაში?

კონფლიქტის შემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

გენდერთან დაკავშირებული შეკითხვები საზღვრის მართვის შეფასებისთვის

დამატებითი ინფორმაცია

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ქალთა როლის განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტი (INSTRAW)

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF)

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ მამაკაცების, ქალების, ვაჟების და გოგონების უსაფრთხოების სხვადასხვა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. გენდერული საკითხების ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულებისთვის, ასევე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესების მიმართ ადგილობრივ დონეზე მესაკუთრეობის შეგრძნების და ლეგიტიმურობისთვის.

წინამდებარე პრაქტიკულ მითითებაში მოცემულია მოკლე შესავალი საზღვრის მართვაში გენდერის საკითხების ინტეგრაციის სარგებლის თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული მითითება უფრო მოცულობით „ინსტრუმენტს" ეფუძნება და ორივე მათგანი ***გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელოს*** ნაწილს წარმოადგენს. იმისთვის, რომ გენდერის საკითხების შესახებ ერთგვარი შესავალი გაკეთდეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში მონაწილე პრაქტიკოსებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, სახელმძღვანელო 12 ინსტრუმენტისგან შედგება, რომელთაგან თითოს პრაქტიკული შენიშვნა ახლავს თან – *იხილეთ დამატებითი ინფორმაცია.*

რატომ არის გენდერი მნიშვნელოვანი საზღვრის მართვისთვის?

საზღვრის მართვა „დაკავშირებულია საზღვრების ადმინისტრირებასთან. მისი ზუსტი მნიშვნელობა განსხვავდება ნაციონალური კონტექსტების მიხედვით, მაგრამ იგი ჩვეულებრივ მოიცავს იმ წესებს, ხერხებსა და პროცედურებს, რაც საქმიანობასა და მოძრაობას არეგულირებს განსაზღვრულ სასაზღვრო ტერიტორიებზე ან ზონებში".[1] სასაზღვრო ძალები, იმიგრაციისა და საბაჟო სამსახურები იმ მთავარ სტრუქტურებს წარმოადგენენ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანებისა და ტვირთების მოძრაობის მართვაზე საზღვრების გადაკვეთისას.

გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. „გენდერი" შესაბამისად ნიშნავს *გაცნობიერებულ* განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა „სქესი" *ბიოლოგიურ* განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

---

[1] ჰილზი, „დემოკრატიული სასაზღვრო მართვის რაციონალურობის მიმართულებით", *საზღვრები და უსაფრთხოების მმართველობა: საზღვრების მართვა გლობალიზებულ მსოფლიოში,* (DCAF: ჟენევა), 2006, გვ. 33.

ადამიანთა ტრეფიკინგისა და უკანონო გადაყვანის პრევენცია და გამოვლენა

- ადამიანთა ტრეფიკინგისა და უკანონო გადაყვანის პრევენციის, გამოძიებისა და კონტროლის მიმართ გენდერული რეაგირების განმახორციელებელი მიდგომის გამოყენებას შეუძლია მსხვერპლთა გამოვლენისა და დაცვის დონე გაზარდოს.

ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა

- საზღვრის მართვის ისეთი პერსონალი, რომელიც იცავს და მხარს უჭერს მამაკაცების, ქალების, გოგოებისა და ვაჟების ადამიანის უფლებებს, სავარაუდოდ, უფრო მეტ საზოგადოებრივ ნდობას მოიპოვებს მათი მომსახურების მიმართ. აღნიშნული, თავის მხრივ, ზრდის ადამიანების, ტვირთებისა და მომსახურების მოძრაობის მოცულობას და სიხშირეს, ასევე აძლიერებს საზღვრის მართვის პერსონალის პრევენციისა და გამოვლენის პოტენციალსა და შესაძლებლობებს.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანის უფლებათა დარღვევებს, როგორიცაა, მაგალითად:

- ფიზიკური ძალადობა, როგორიცაა ცემა, გაუპატიურება და წამება
- თავშესაფრის უფლებაზე ან დევნილობასთან დაკავშირებულ პროცედურებზე უარის თქმა
- სექსუალური შევიწროვება ან დისკრიმინაცია, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე
- რასობრივი/ეთნიკური ნიშნით გარჩევა, რაც გადაადგილების თავისუფლების უფლებას ზღუდავს
- კორუფცია, შეურაცხყოფა და ძალადობა საზღვრის გადამკვეთ მოვაჭრეთა მიმართ
- ჯანდაცვის უფლებაზე უარის თქმა

საზღვრის მართვის წარმომადგენლობითი სტრუქტურები

- სასაზღვრო პერსონალის რიგებში ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა შესაძლოა შემდეგი საკითხების მიმართ დაგვეხმაროს, ვინაიდან მამაკაცები ამჟამად უაღრესად ჭარბად არიან წარმოდგენილნი:
  - შეკითხვების დასმის, ინტერვიუირების, პირადი ჩხრეკისა და შემდგომი სათანადო პროცედურების უზრუნველყოფა, ისეთ დანაშაულებებთან დაკავშირებით, როგორიცაა ადამიანთა ტრაფიკინგი და უკანონო გადაყვანა.
  - უფრო წარმომადგენლობითი სტრუქტურების შექმნა, რაც იმ საზოგადოებას აირეკლავს, რომელსაც ისინი ემსახურებიან, ეთნიკურობის, ენის, სქესის, რელიგიის და ა. შ. თვალსაზრისით,

რაც ლეგიტიმურობას აძლიერებს და სასაზღვრო გარემოს „ნორმალიზებას“ ახდენს.

- საზღვარზე ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენცია, როგორიცაა სექსუალური შევიწროება, არასათანადო პირადი ჩხრეკა და ჭარბი ძალის გამოყენება.

ჩანართი 1:

რჩევები გენდერულ საკითხებზე სათანადო რეაგირების პროცედურებისთვის, რომლებიც განკუთვნილია ტრაფიკინგის მდედრობითი სქესის მსხვერპლთათვის

1. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქალი, რომელიც ტრაფიკინგის მსხვერპლი გახდა, პასუხს გასცემს მამრობითი სქესის გამომძიებელთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ქალი გამომძიებელი გაცილებით უკეთესია ასეთი შემთხვევებისთვის, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მსხვერპლს უსაფრთხოების გრძნობა გაუჩნდეს.
2. დროის ყველა მონაკვეთში, პროცესებს ქალი უნდა ესწრებოდეს მოწმის სახით. თუ მდედრობითი სქესის პერსონალი ხელმისაწვდომი არ არის, დამკვირვებლის როლი შეიძლება შეასრულოს ისეთი ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელიც არის ცნობილია და ნდობით სარგებლობს.
3. განაცალკევეთ ერთმანეთისაგან მსხვერპლი და ამ ტრაფიკინგის ჩამდენი.
4. პირადი და ქონების ჩხრეკა მდედრობითი სქესის ოფიცერმა უნდა გამართოს.
5. დაუყოვნებლივ დაამყარეთ კონტაქტი ქალთა ორგანიზაციებსა და მსხვერპლთა დამცველებთან.
6. უზრუნველყავით, რომ ფიზიკური და სამედიცინო მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია.

ადგილობრივი მესაკუთრეობა, სამოქალაქო ზედამხედველობა და თანამშრომლობა

- საზღვრის მართვის რეფორმის პროცესებში ისეთი მთავარი დაკავშირებული მხარეების მონაწილეობის გაზრდა, როგორიცაა ქალთა ორგანიზაციები, ადგილობრივ მესაკუთრეობას და სამოქალაქო ზედამხედველობას აძლიერებს.
- თანამშრომლობას ქალთა ორგანიზაციებთან, სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, შეუძლია მოგვცეს საშუალება, რომ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ადგილობრივი დაზვერვა განვახორციელოთ დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე მივიღოთ ექსპერტული რჩევები პოლიტიკის

საკითხებში და ექსპერტული ცოდნა გენდერული ტრენინგის სფეროში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე წარმოადგენენ იმ ძირითად ორგანიზაციებს, რომლებსაც უნდა მიმართონ დანაშაულის მსხვერპლებმა და რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით მომსახურებას.

ჩანართი №2

ეთიკური და უსაფრთხო ინტერვიუები ტრეფიკინგის მსხვერპლ ადამიანებთან[2]

1. არ ავნო – თითოეულ პირს ისე მოექეცით, თითქოს ზიანის პოტენციალი უკიდურესად დიდია, ვიდრე ამის საპირისპირო რამ არ გამოვლინდება.
2. უნდა იცნობდეთ თქვენს სუბიექტს და შეაფასეთ რისკი გასაუბრების დაწყებამდე.
3. მოამზადეთ ინფორმაცია სათანადო სამართლებრივი, ჯანდაცვის, თავშესაფრის, სოციალური დახმარების და უსაფრთხოების სისტემებზე გადამისამართების შესახებ.
4. ადექვატურად შეარჩიეთ და მოამზადეთ თარჯიმნები.
5. უზრუნველყავით ანონიმურობა და კონფიდენციალურობა.
6. მოიპოვეთ ინფორმირებული თანხმობა რესპონდენტისგან.
7. მოუსმინეთ და პატივი ეცით თითოეული პირის მხრიდან სიტუაციის და რისკის შეფასებას მისი უსაფრთხოებისადმი.
8. ხელახალი ტრავმა არ მიაყენოთ რომელიმე პირს იმ შეკითხვების დასმით, რაც ემოციურად დამუხტულ პასუხს გამოიწვევდა.
9. მომზადებული იყავით გადაუდებელი ჩარევისთვის.
10. გამოიყენეთ ისეთი სახით მოპოვებული ინფორმოაცია, რაც სარგებელს მოუტანს ინდივიდებს ან უზრუნველყოფს პოლიტიკების შემუშავებას და ინტერვენციას ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის.

შესაბამისობა ვალდებულებებთან საერთაშორისო კანონებისა და ინსტრუმენტების ფარგლებში

საზღვრის მართვის პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირება აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა საერთაშორისო და რეგიონულ კანონებთან, ინსტრუმენტებსა და ნორმებთან, რომლებიც უსაფრთხოებასა და გენდერს ეხება. უმთავრესი ინსტრუმენტებია:

- *პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა* (1995წ.)
- *ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ 2000 წლის ოქმი (პალერმოს პროტოკოლი)*

[2] ადაპტირებულია: ციმერმანი, კ. და უეტსი, კ. *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეთიკური და უსაფრთხოების რეკომენდაციები ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებთან გასაუბრებისთვის,* (WHO: ჟენევა), 2003წ.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი „საერთაშორისო და რეგიონული კანონები და ინსტრუმენტები“.

როგორ შეიძლება გენდერის ინტეგრირება საზღვრის მართვაში?

ინფორმაციის შეგროვება

- ზუსტი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გავრცელება მიგრაციის ნაკადებზე, ადამიანთა ტრეფიქინგსა და ადამიანების უკანონო გადაყვანის შესახებ, რათა გაუმჯობესდეს საზღვრის მართვის პოლიტიკები და პრაქტიკები. როგორც მინიმუმი, უნდა მოხდეს ყველა მონაცემების დაყოფა სქესის, ასაკის, დანიშნულების ადგილის და მგზავრობის მიზნის შესაბამისად.

გენდერის მიმართ სენსიტიური პოლიტიკების, პროტოკოლების და პროცედურების დადგენა

- გენდერზე რეაგირების შესაძლებლობს მქონე პოლიტიკების, პროტოკოლების და პროცედურების (იხილეთ ჩანართი №1) შემუშავება შემდეგი მიზნებისთვის: იდენტიფიკაცია, ინტერვიუს გამართვა, ფიზიკური ჩხრეკა, გამოძიება, დაკავება და სხვა პროცესები, რომლებიც ქალების და მამაკაცების სხვადასხვა საჭიროებებს ითვალისწინებენ, ასევე განსხვავებას აკეთებენ მიგრაციას, ადამიანთა ტრეფიკინგსა და ადამიანების უკანონოდ გადაყვანას შორის.
- ქცევის გასაგები კოდექსის შემუშავება; შიდა და გარე საჩივრების, გამოძიების და სადისციპლინო პროცედურების, ასევე საგარეო ქცევის და განხილვის პროცესების დადგენა.
- საზღვრის დაცვის გაიდლაინების და პოლიტიკების საჯაროობის უზრუნველყოფა და რეგულარული კონსულტაციების გამართვა სხვადასხვა დაკავშირებულ მხარეებთან საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად უსაფრთხოების მიმართ არსებული საფრთხეების და შესაბამისი რეაგირებების კუთხით.
- გენდერზე რეაგირების მომხდენი და ოჯახებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანური რესურსების პოლიტიკების და პრაქტიკების განხორციელება, სექსუალური შევიწროების პოლიტიკების ჩათვლით.
- როგორც კრიტიკული მნიშვნელობის ნაბიჯი მექრთამეობის და სხვა სახის კორუფციის აღმოსაფხვრელად, სახელფასო განაკვეთების გადასინჯვა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა მოტივაციები საზღვრის მართვისთვის. პერსონალი უფრო რეაგირებს ხოლმე რეფორმის ზომებზე, თუ ადექვატურ ხელფასს იღებენ და მომსახურების ნორმალური პირობებია უზრუნველყოფილი.

ტრენინგის გამართვა გენდერის თემაზე

- გენდერის თემაზე ტრენინგის და პოტენციალის განვითარების მასალების შემუშავება, რომელიც განსაკუთრებით იქნება მიმართული საზღვრის მართვის პერსონალზე, ასევე მათ წინაშე მდგარ უნიკალურ გამოწვევებზე, რაშიც შედის საზღვრის დაცვა, საბაჟო უწყებები და იმიგრაციის სამსახურის პერსონალი.
- ქალთა ორგანიზაციების ჩართვა გენდერზე ტრენინგის შემუშავებასა და მიწოდებაში, ასევე პოტენციალის განვითარების სხვა ღონისძიებებში.

ტრეფიქინგის მსხვერპლთა გამოვლენის და დაცვის უფრო მეტად უზრუნველყოფა

- დარწმუნდით, რომ საზღვრის მართვის პერსონალს გააჩნია პოტენციალი, რომ გამოიცნოს და გამოავლიონს ადამიანთა ტრეფიქინგი და განასხვაოს ის ადამიანების უკანონო გადაყვანისა და პროსტიტუციისგან, ნებაყოფლობითი შრომითი მიგრაციისა და საზღვრის გადაკვეთის სხვა ფორმებისგან:
- გამართეთ გულმოდგინე, ინფორმირებული ზედამხედველობა და უზრუნველყავით ჯვარედინი შემოწმება.
- გამოავლინეთ სხვადასხვა მიზეზები და გამოცდილება, რაც ქალების, მამაკაცების, გოგონების და ვაჟების ტრეფიკინგს უკავშირდება.
- განავითარეთ პერსონალური შესაძლებლობა, რომ ადექვატური რეაგირება მოახდინოთ ტრეფიქინგის მსხვერპლებზე (იხილეთ ჩანართი №2) – დაუცველობის, წინააღმდეგობის და საჭიროებების გამოვლენა, ასევე პერსონალის გაცნობა სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებთან გადამისამართებისა და გამოძიებისთვის.
- ქალთა ორგანიზაციებსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მსხვერპლთათვის დახმარების მიწოდების მიზნით.

საზღვრის მართვის უფრო წარმომადგენლობითი და მონაწილეობრივი ინსტიტუციების ჩამოყალიბება

- დასაქმების დაგეგმვა და მიზნობრიობა, უფრო მეტად კანდიდატი ქალების მოსაზიდავად, რაშიც შედის შერჩევის კრიტერიუმების გადასინჯვა, შესაფერისი სამუშაო აღწერილობების მომზადება, დასაქმების ოფიცრების ტრენინგი გენდერის საკითხებზე, დასაქმების მასალების გადასინჯვა და ინტერვიუს ფორმატის განხილვა.

ჩანართი №3

სამუშაოდ ქალების დაქირავება კოსოვოში

კოსოვოში ომის შემდეგ ეგრევე განხორციელდა ძალისხმევა კადეტებად

ქალების დაქირავებისთვის ეუთოს მიერ შემუშავებულ ახალ საბაზისო პოლიციურ პროგრამაში. პირველ წლებში კურსდამთავრებულთა 33% ქალი იყო, მაგრამ სამუშაო ყველას არ მოსწონდა. ზოგმა ქალმა წასვლა გადაწყვიტა დაოჯახების შემდეგ, ხოლო სხვებმა სხვა, უკეთესი სამუშაო იპოვეს. დღესდღეობით, კოსოვოში პოლიციის პერსონალის დაახლოებით 14%-ს ქალები შეადგენენ. კოსოვოს საზღვრის დაცვის პოლიცია (BBPT) მოგვიანებით ჩამოყალიბდა. 2007 წლის იანვარში, სულ არსებობდა 1,009 საზღვრის დაცვის პოლიციელი, მათგან 76 ქალი, ხოლო გენერალი, რომელიც ამ სამსახურს უდგას სათავეში, ასევე ქალია.

ჩანართი 4

სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა[3]

„საზღვრის სამოქმედო ქსელმა“, სადაც სათემო ორგანიზაციები არსებობს აშშ-ს საზღვარზე მდებარე შტატებში, შეიმუშავა „გაიდლაინები საზღვრის გაძლიერების ალტერნატიული პოლიტიკები და პრაქტიკები“, რათა უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება, ადამიანების უფლებების დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოება. 2006 წლის ივნისში, „საზღვრის ქსელმა ადამიანის უფლებებისთვის“ ელ-პასოში, ტეხასი, ასევე ნიუ მექსიკოს სამხრეთში, „ჩრდილოვანი ანგარიში“ წარუდგინა „ადამიანის უფლებების კომიტეტს“, სადაც დოკუმენტირებულია ადამიანის და სამოქალაქო უფლებების დარღვევა აშშ/მექსიკის საზღვრის ტერიტორიაზე.

- კვალიფიცირებული ქალის დანიშვნა ან დაწინაურება მაღალ თანამდებობებზე საზღვრის მართვის სფეროში (იხილეთ ჩანართი №3).
- გაზარდეთ ადვილობრივი აქტიორების მონაწილეობა, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ქალთა ჯგუფების ჩათვლით, რეფორმის პროცესების საწყის შეფასებაში, შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში/საბოლოო შეფასებაში, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა და ადგილობრივი მესაკუთრეობა (იხილეთ ჩანართი №4).

მონიტორინგი და შეფასება

- „კლიენტთა კმაყოფილების“ კვლევები, როგორც მონიტორინგის ნაწილი, დამოუკიდებელმა უწყებამ უნდა გამართოს.

[3] საზღვრის ქსელი ადამიანის უფლებებისთვის. „აშშ/მექსიკის საზღვრის ანგარიში აშშ ადამიანის უფლებების კომიტეტს, აშშ-ს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დაცვის შესახებ“, 2006 წ. ივნისი http://www.borderaction.org

მე-6 ინსტრუმენტში ასევე მოცემულია...

- მინიშნებები გენდერზე რეაგირების პროცედურებისთვის
- ეროვნული რეფერალური მექამიზმის სამოდელო კითხვარი
- მითითებები ეფექტური ქცევის კოდექსისთვის
- გენდერის თემაზე ტრენინგის სასწავლო პროგრამის მაგალითები კოსოვოს სასაზღვრო პოლიციისთვის
- მითითებები მდედრობითი სქესის პერსონალის უფრო მეტი რაოდენობით დასაქმების, შენარჩუნების და დაწინაურებისთვის

კონფლიქტისშემდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები

კონფლიქტის შემდგომ საზღვრის მართვის რეფორმა შეიძლება უკიდურესად მგრძნობიარე პროცესი იყოს ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფების მიერ საზღვრებსა და მათ კონტროლთან დაკავშირებული დავების გამო. ბევრ შემთხვევებში, საზღვრის მართვის სისტემების ჩამოყალიბება ნულიდან იქნება საჭირო. საზღვრების დემილიტარიზაცია და განაღმვა, იარაღის და ადამიანების უკანონო გადატანა, ასევე ლტოლვილების და ადგილნაცვალი პირების დაცვის უზრუნველყოფა საზღვრის მართვის რეფორმის რამდენიმე გადაუდებელ პრიორიტეტის წარმოადგენს.

გამოწვევები გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის

- კონფლიქტის შემდეგ საზღვრები სადაო და პოტენციური დაპირისპირების წარმომშობ საკითხად რჩება ხოლმე: გარემო, რომელიც ხშირად „ძალიან საშიშად“ განიხილება ქალებისთვის.
- გენდერული ძალადობა ქალების და გოგონების მიმართ იმ გარემოში, სადაც ნაკლები ზედამხედველობაა და თითმის სრული დაუსჯელობა სუფევს.
- ადამიანთა ტრეფიქინგის გაზრდილი მაჩვენებელი.
- პრიორიტეტი ხშირად ზოგადად პოლიციის სამსახურის რეფორმას ენიჭება – სპეციალიზებული პოლიციის სამსახურის რეფორმა, რაც მოიცავს საზღვრის მართვას, შეიძლება გადაიდოს და საწყის ეტაპზე უსაფრთხოების ძალებში ქალების ჩართვაზე მიმართული ძალისხმევა ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდეს.

შესაძლებლობები გენდერული საკითხების ინტეგრაციისთვის

- შეიძლება უფრო მეტი პოლიტიკური ნება არსებობდეს საერთაშორისო საზოგადოების წევრებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ახლად დაფუძნებულ მთავრობებს შორის, რათა რეფორმის პროცესებში ინვესტიცია ჩადონ.
- საზღვრის მართვის სისტემების შექმნა ან რეფორმირება შესაძლებლობას ქმნის იმისთვის, რომ სამიზნეს ქალების

სამუშაოზე აყვანა წარმოადგენდეს, ასევე ინტეგრირებული იქნას გენდერული საკითხები პოლიტიკის და პროტოკოლის ფორმირებაში, ოპერაციების პროგრამირებაში, პერსონალის დაქირავებასა და ტრენინგში.

- შესაძლებელია, რომ საზღვრის სამსახურებში დასაქმებისთვის ქალი კანდიდატების რაოდენობა გაიზარდოს – სადაც შეიძლება იყოს ის ქალები, რომლებიც ოჯახის უფროსებს წარმოადგენენ, ან ოჯახებს ეხმარებიან, ასევე დემობილიზებული ქალები ლიდერობის და ორგანიზაციული უნარებით.

??შეკითხვები საზღვრის მართვასთან დაკავშირებით

საზღვრის მართვაში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებით ძლიერი და სუსტი მხარეების, შესვლის წერიტილების გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო გზას შეფასების გამართვა წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულია შეკითხვების მაგალითები გენდერთან დაკავშირებით, რომელთა ჩართვაც მნიშვნელოვანია საზღვრის მართვის საწყისი შეფასების, მონიტორინგის და საბოლოო შეფასების დროს.

- მიღებული აქვს თუ არა საზღვრის მართვის პერსონალს ზუსტი ინფორმაცია, ასევე, გაიმართა თუ არა მათთვის ადექვატური და შესაფერისი ტრენინგი გენდერულ საკითხებზე?
- არის თუ არა საზღვრის პერსონალი ადექვატურად გადამზადებული, რათა ტრეფიქინგის მსხვერპლების ან/და უკანონოდ გადაყვანილი პირების უფლებები დაიცვას და მათ საჭიროებებზე რეაგირება მოახდინოს?
- შეიქმნა თუ არა სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ტრეფიქინგის მსხვერპლი, ან უკანონოდ გადაყვანილი ადამიანების გადამისამართებისთვის?
- მოწესრიგებულია თუ არა გენდერისადმი რეაგირების პოტენციალის მქონე პოლიტიკები, როგორიცაა ქცევის კოდექსი და პოლიტიკა სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის თაობაზე?
- საზღვრის პერსონალი ასახავს თუ არა საზოგადოებას სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ენის და სხვ. მხრივ?
- არიან თუ არა ქალები და მამაკაცები თანაბრად დაქირავებულნი ყველა დონეზე საზღვრის მართვის დაწესებულებებში?
- მთავარი დაკავშირებული მხარეები სამთავრობო სამინიტროებსა და სამოქალაქო საზოგადოებიდან, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით, არიან თუ არა ჩართულნი საწყის შეფასების, დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების პროცესებში საზღვრის მართვის კუთხით?
- მოხდა თუ არა საზღვრის იდენტიფიკაციის, ინტერვიუებისა და გამოძიების პროცესების გადასინჯვა გენდერული პერსპექტივიდან?

- შეიქმნა თუ არა ცენტრალიზებული რეესტრები ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლისთვის საზღვრის გადაკვეთის ადილებზე? ხდება თუ არა ყველა მონაცემების დაშლა სქესის, ასაკის და სხვა შესაბამისი ფაქტორების მიხედვით?

დამატებითი ინფორმაცია

რესურსები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – *ადამიანთა ტრეფიკინგი და იძულებითი შრომითი ექსპლუატაცია: მითითებები კანონმდებლობისა და სამართალდამცავი საქმიანობისთვის*, 2005წ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – „მიგრაცია და გენდერი“, *მიგრაციის მართვის საფუძვლები*, 2007წ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – *ტრეფიქინგის მსხვერპლების გამოვლენის და დაცვის სქემები ევროპაში: სახელმძღვანელოები და საუკეთესო პრაქტიკები*, 2005წ.

ეუთო – *ეროვნული რეფერალური მექანიზმები: ძალისხმევის გაერთიანება ტრეფიქინგის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად: პრაქტიკული სახელმძღვანელო*, 2004წ.

UNODC – *სახელმძღვანელო ტრეფიქინგთან საბრძოლველად*, 2006წ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) – *ეთიკური და უსაფრთხოების რეკომენდაციები ტრეფიქინგის მსხვერპლ ქალებთან გასაუბრებისთვის*, 2003წ. ორგანიზაციები

ფონდი CLEEN – www.cleen.org

კოალიცია ქალთა ტრეფიქინგის წინააღმდეგ – www.catwinternational.org

Human Rights Watch – www.hrw.org

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – www.iom.int

No Border Network – www.noborder.org

ეუთო – www.osce.org

გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM) – www.unifem.org

გენდერის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის სახელმძღვანელო

1. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის რეფორმა და გენდერი
3. თავდაცვის რეფორმა და გენდერი
4. სასამართლო რეფორმა და გენდერი

5. სასჯელაღსრულების რეფორმა და გენდერი
6. საზღვრის მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა და გენდერი
8. უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და გენდერი
9. სამოქალაქო საზოგადოების მიერ უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობა და გენდერი
10. კერძო სამხედრო და უშიშროების კომპანიები და გენდერი
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის წინასწარი შეფასება, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. გენდერული ტრენინგი უსაფრთხოების სექტორის პერსონალისათვის

დანართი საერთაშორისო და რეგიონული კანონების და ინსტრუმენტების შესახებ

თითოეული ეს ინსტრუმენტი და პრაქტიკული მითითება ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.dcaf.ch www.un-instraw.org და www.osce.org/odihr.

აღნიშნული პრაქტიკული მითითების ავტორია ნადია ნიერი, UNINSTRAW, მე-6 ინსტრუმენტის საფუძველზე, რომლის ავტორია ანგელა მაქეი.